



5478/3-110/22 2 20062022

5478/3-110/22

20-06-2022

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს
ირაკლი ქარსელაძეს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მოგმართავთ შემდეგ საკითხებზე.

დასავლეთ საქართველოში მუნიციპალური ტრანსპორტის პრობლემაა. წლების განმავლობაში მოძრაობდა ოზურგეთი- ბათუმის მატარებელი, რომელიც ოზურგეთიდან გამოსული დიდ სოფლებს და მნიშვნელოვან სადგურებს გადიოდა: (მაგ: ნატანები, მერია, ქობულეთი, ბობოყვათი, ციხისძირი, მახინჯაური...); მოგეხსენებათ ასეთი მარშრუტის სხვა სატრანსპორტო ალტერნატივა მოსახელობას არ ჰქონია და ამიტომაც ძალიან პოპულარული, მოსახერხებელი და საჭირო იყო, როგორც ყოველდღიური საჭიროების მიზნით, საკვების ყიდვა-გაყიდვა, მომარაგება, ტვირთის გადაზიდვა, გადაადგილება, ასევე სეზონურად სრულად დატვირთული იყო ტურისტული კუთხითაც.

გავრცელებული ინფორმაციით მატარებელმა სვლა შეწყვიტა პანდემიის გამო, რეგულაციების მოხსნის დღიდან მოსახლეობა ელოდება მის ამოქმედებას. არსებობს მატარებლის ლიანდაგი, ვაგონები, განრიგი და მომხმარებელი რაც ეკონომიკურადაც სარფიანი საქმეა. გთხოვთ გვიპასუხოთ როდის და როგორ გეგმავთ ოზურგეთი- ბათუმის მატარებლის ამუშავებასა და რა აფერხებს ამ ძალიან საჭირო საკითხის მოგვარების პროცესს.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ნატო ჩხეიძე



6065/3-110/22 2 06072022

6065/3-110/22

06-07-2022

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს
ლევან დავითაშვილს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მოგმართავთ შემდეგ საკითხებზე.

დასავლეთ საქართველოში მუნიციპალური ტრანსპორტის პრობლემაა. წლების განმავლობაში მოძრაობდა ოზურგეთი- ბათუმის მატარებელი, რომელიც ოზურგეთიდან გამოსული დიდ სოფლებს და მნიშვნელოვან სადგურებს გადიოდა: (მაგ: ნატანები, მერია, ქობულეთი, ბობოყვათი, ციხისძირი, მახინჯაური ა.შ); მოგეხსენებათ ასეთი მარშრუტის სხვა სატრანსპორტო ალტერნატივა მოსახელობას არ ჰქონია და ამიტომაც ძალიან პოპულარული, მოსახერხებელი და საჭირო იყო, როგორც ყოველდღიური საჭიროების მიზნით, საკვების ყიდვა-გაყიდვა, მომარაგება, ტვირთის გადაზიდვა, გადაადგილება, ასევე სეზონურად სრულად დატვირთული იყო ტურისტული კუთხითაც.

გავრცელებული ინფორმაციით მატარებელმა სვლა შეწყვიტა პანდემიის გამო, რეგულაციების მოხსნის დღიდან მოსახლეობა ელოდება მის ამოქმედებას. არსებობს მატარებლის ლიანდაგი, ვაგონები, განრიგი და მომხმარებელი რაც ეკონომიკურადაც სარფიანი საქმეა. გთხოვთ გვიპასუხოთ როდის და როგორ გეგმავთ ოზურგეთი- ბათუმის მატარებლის ამუშავებასა და რა აფერხებს ამ ძალიან საჭირო საკითხის მოგვარების პროცესს.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი

ნატო ჩხეიძე